# ხელშეკრულება№30

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. მესტია 02 ივლისი 2016წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „მესტიის სავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება" ს/კ 435892483 (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის, ბ-ნ ზამირ რატიანის სახით და მეორეს მხრივ ი/მ თეა ჟორჟოლიანი ს/კ30001000866 (შემდგომში მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს' " ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლებით CPV55100000-სასტუმროს მომსახურეობების შესყიდვა.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია CPV55100000 –სასტუმროს მომსახურეობის შესყიდვა.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1265(ათას ორას სამოცდახუთ) ლარს, დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების განხორციელების განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5.2. მომსახურების განხორციელების ადგილია: მესტია

5.3.მომსახურების განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ინვოისი).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების განხორციელების მიღება მიღება-ჩაბარების აქტით და ინვოისით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების განხორციელებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20(ოცი)სამუშაო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია დაბა მესტია

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი

შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ფრანცუზ ჯაფარიძე – სამეურნეო საქმის მენეჯერი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება" (ს/კ 435892483) | ი/მ თეა ჟორჟოლიანი (ს/კ 30001000866) |
| მის: მესტია,გაბლიანის 13 | მის: თამარ მეფის ქ:7 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ბანკი:ს/ს "ლიბერთი ბანკი" | ბანკი:ს/ს "ლიბერთი ბანკი" |
| ა/ა GE23LB0113118032419000 | ა/ა GE54LB0112110044368000 |
| ბ/კ LBRTGE22 | ბ/კ LBRTGE22 |
| დირექტორი: ზ.რატიანი | ი/მეწარმე: თ. ჟორჟოლიანი |

შპს " მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანება"
LLC "MESTIA HOSPITAL - AMBULATORY UNION"

მისამართი: მესტია,გაბლიანის 13
ტელ: 595572723 577251167
Email: zamiriratiani@yahoo.com

address:Mestia,Gabliani 13
Tel: 595572723 577251167
Email:: zamiriratiani@yahoo.com

# მიღება - ჩაბარების აქტი

დ.მესტია

02 ივლისი 2016 წელი

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ შპს „მესტიის საავადმყოფო-აბულატორიული გაერთიანება" ს/კ 435892483, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზამირ რატიანის სახით (პ/ნ 01025003947) და მეორეს მხრივ ,ი/მ თეა ჟორჟოლიანი ს/კ 30001000866 ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ,რომ 2016 წლის 2 ივლისს გაფორმებული N30 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად,2016 წლის 2 ივლისს ი/მ თეა ჟორჟოლიანმა შეასრულა და ჩააბარა,ხოლო ზამირ რატიანმა მიიღო ინვოისში აღნიშნული მომსახურება საერთო ღირებულებით 1265(ათას ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით.

რასაც მხარეები ადასტურებენ:

ზამირ რატიანი ------------------------------

თეა ჟორჟოლიანი ------------------------------

ინვოისი

*გაწეულ მომსახურეობაზე-შესრულებულ სამუშაოზე.*

ინდ.მეწარმე: თეა ჟორჟოლიანი

მისამართი: თამარ მეფის ქ #7

საიდენტიფიკაციო კოდი: 30001000866

საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის მესტიის ფილ. კოდი **LBRTGE22**

**ანგ.#GE54LB0112110044368000**

*ანგარიშ-ფაქტურა*

**ორგანიზაციის დასახელება: შპს,,მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანება"**

**მისამართი:მესტია გაბლიანის 13**

**გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 425892483**

| გაწეული მომსახურეობა | მომსახურების თარიღი | ადამიანების რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| კვებით მომსახურება(ვახშამი) | 2.07.2016. | 55კაცი | 23ლარი | 1265ლარი |
| ჯამი | | | | 1265ლარი |

**გაცემის თარიღი:2.07.2016წ.**

თ. ჟორჟოლიანი

GEORGIA INDIVIDUAL ENTERPRENEUR TEA JORJOLIANI

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 164

თარიღი: 2016 წლის 06 07, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| GEL | GEL |
| | 1265.00 |
| თანხა სიტყვიერად | ერთი ათას ორას სამოცდახუთი GEL და 00 |

გადამხდელის დასახელება: შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება

ანგარიში (დებეტი): GE23LB0113118032419000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: თეა ჟორჟოლიანი

საიდენტიფიკაციო კოდი: 30001000866

ანგარიში (კრედიტი): GE54LB0112110044368000

მიმღების ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადახდის დანიშნულება: CVP55100000-სასტუმროს მომსახურეობის შესყიდვა

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 06.07.2016

ხელმოწერა: